საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 1050/02-06
02/08/2019

1050-02-06-4-201908021556

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის დალი ზანგურაშვილის ამერიკის შეერთებულ შტატებში მივლინების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის" მე-12 მუხლის პირველი, მე-2 ნაწილის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის N220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" „ო" და ,,პ" ქვეპუნქტების, „სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის N12/04 ერთობლივი ბრძანების, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის დალი ზანგურაშვილის 2019 წლის პირველი აგვისტოს N 14524/10-02 განცხადების (ინსტიტუტის დირექტორის მ/შ, რ.გაჩეჩილაძის თანხმობით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 5 ოქტომბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ ბოსტონში (აშშ) ნორსისტერნის უნივერსიტეტში ,,წარმოდგენების თეორიისა და მასთან დაკავშირებული საკითხების" სემინარზე მოხსენების ,,სტაბილური კატეგორია და სტაბილური მოდულების კატეგორია" წასაკითხად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი დალი ზანგურაშვილი.
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს სამივლინებო 3969.80 ლარის ხარჯიდან, გადარიცხოს მგზავრობის ხარჯი 2220 ლარი, თანდართული 01.08.2019წ N2012 ინვოისის საფუძველზე და გასცეს 1749.80 ლარი, უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტით მივლინებისათვის განსაზღვრული სახაზინო თანხებიდან (დანართი N 1).

3. დაევალოს დალი ზანგურაშვილს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე.
4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, შიდა აუდიტის სამსახური).
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დანართი N1

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომლის დალი ზანგურაშვილის ამერიკის შეერთებულ
შტატებში მივლინების ხარჯთაღრიცხვა:

1. მგზავრობის ხარჯი: (01.08.2019 წ 2012 ინვოისი)- 2220 ლარი

2. სადღეღამისო ხარჯი: (ნაწილობრივ)

10 დღე X 58.88 აშშ დოლარი X 2.9718 ლარი=1749.80 ლარი

სულ: 3969.80 ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი: ი. საღარეიშვილი